პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 232 (11843) | ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ახალი შრომითი გამარჯვებანი

საქართველოს კოლმეურნეობათა ათეულ ათასობით სული ცხვარი ზამთრობს ყოველ წელს დაღისტნის ასს რესპუბლიკის უიზლარის საძოვრებზე. საძოვრებზე წარმოებს დიდი მუშაობა პირუტყვის მაძღრისად და თბილად გამოზამთრების უზრუნველსაყოფად. საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველომ, საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მუშაკებმა, აგრეთვე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, რომელთა ცხვარი ზამთრობს უიზლარის საძოვრებზე, წარმატებით შეასრულეს 1960-1961 წლების ზამთრისათვის უხეში საკვების დამზადების სამუშაო და ამით შექმნეს ხელსაყრელი პირობები პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. დამზადებულია 456 ათასი ცენტნერი თივა, გვემით გათვალისწინებული 453 ათასი ცენტნერის ნაცვლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიულოცეს საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველოს და საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მუშებსა და სპეციალისტებს, აგრეთვე რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, რომელთა ცხვარი ზამთრობს უიზლარის საძოვრებზე, ზამთრისათვის უხეში საკვების დამზადების გეგმის წარმატებით და გადაჭარბებით შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ წარმატებით შესრულდება პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების მომზადებისა და განხორციელების ყველა სამუშაო და ამით შეიქმნება პირობები მეცხვარეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდებისათვის. (საქდესი).

წყალტუბო. (საქ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა 30 სექტემბრისათვის 103,4 პროცენტად შეასრულეს სილოსის დამზადების დავალება. ჩადებულია 23.023 ტონა სილოსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22.000 ტონისა. ოქტომბრის პირველ დეკადაში 130 ტონა სილოსი დამზადეს ნაკისარი ვალდებულების ფარგლებში. სუფა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობები გეგმის ზევით ჩადებენ 3.200 ტონამდე სილოსს.

თელავის რაიონმა ვადაზე ადრე — 30 სექტემბრისათვის 107,5 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვა გრძელდება.

ცხინვალის რაიონის მშრომელებმა 30 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ამრეშუმის პარკის დამზადების გეგმა — 159.000-ის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 159.165 კილოგრამი ამრეშუმის პარკი.

პარკის დამზადება გრძელდება.

ჩვენ გვწამს სიცოცხლისა და ვიბრძვით მისთვის, მშვიდობის გამარჯვებისათვის დედამიწაზე

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კლენარულ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურის საკითხის გამო პასუხის წესით 1960 წლის 3 ოქტომბერს

ბატონო თავმჯდომარე!

ბატონო დელეგატებო!

მინდა ზოგიერთი ორატორის გამოსვლაზე პასუხის წესით ერთხელ კიდევ განვმარტო საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, რომელიც შემოტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ გენერალური ასამბლეის განსახილველად. საქმე ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ აღმასრულებელი ორგანოს როლსა და ადგილს, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ გენერალური მდივნის თანამდებობის ნაცვლად.

მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ პასუხი გავცე იმათ, ვინც ამახინჯებს ჩვენს პოზიციას, აგრეთვე განეუმარტო იგი იმათ, ვისაც ჯერ ვერ გაუგია ამ წინადადების მნიშვნელობა, მაგრამ ვისაც სურს შეისწავლოს და სწორად გაიგოს იგი.

როგორც გახსოვთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა 1945 წელს. იმ დროის საუკეთესო ადამიანები მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილი დამთავრების ვითარებაში ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ დაემყარებინათ ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, როგორ შეექმნათ ისეთი საერთაშორისო ორგანო, რომელიც გადაწყვეტდა სახელმწიფოებს შორის ან სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის წამოჭრილ სადავო პრობლემებს, რათა საქმე არ მიეყვანათ გამწვავებამდე და მით უმეტეს გამოერიცხათ ომი. ეს იყო მთავარი ამოცანა, რომელსაც უსახავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

შემუშავდა ამ ორგანიზაციის წესდება, რომელშიც გათვალისწინებული იყო, რომ იარსებებს გენერალური ასამბლეა, რომ მასში შევა ყველა სახელმწიფო, რომლებმაც მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესდების მოთხოვნებს. მოულოდნელი საკითხების გადასაჭრელად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი დაძაბულობას იწვევენ, შეიქმნა უშიშროების საბჭო, რათა შეიძლებოდეს შენელდეს ეს დაძაბულობა, არ იქნას დაშვებული გამწვავება და მით უმეტეს ომი.

საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, იმ დროის დიდი ქვეყნები, დამტკიცებულ იქნენ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩაწერილი იყო, რომ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც უშიშროების საბჭო იღებს, მოითხოვენ ამ ხუთი სახელმწიფოს ერთმხრივობას. ეს შემთხვევით როდი გაკეთდა. ამით თავი ჩჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატორთა და შემქმნელთა სიბრძნემ, რომლებიც ითვალისწინებდნენ იმ დროის რეალურ საერთაშორისო ვითარებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ უკვე 15 წელი გავიდა. მოხდა თუ არა მას შემდეგ ცვლილებები მსოფლიოში? დიახ, მოხდა კოლოსალური ცვლილებები. ვისაც ეს არ ესმის, ის საღათას ძილს მისცემია და იმ მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც იგი ცხოვრობდა თხუთმეტი წლის წინათ მთელი თავისი ძველი შეხედულებებით და მსოფლიო პრობლემების გაგებით.

მაგრამ ჩვენ ხომ საქმე გვაქვს, ან უფრო სწორად საქმე უნდა გვქონდეს არა იმათთან, ვინც საღათას ძილის მდგომარეობაშია. ადამიანები, რომლებიც მუდამ ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ თავიანთ ხალხებთან და სახელმწიფოებთან ერთად, ხედავენ, რომ დედამიწაზე მოხდა გრანდიოზული სოციალური და პოლიტიკური ძვრები. როცა მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, მთელ დედამიწაზე იყო მხოლოდ ორი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. სამწუხაროდ, ეს რესპუბლიკა დღემდე არ არის მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ, რომ ასეთი დამოკიდებულება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისადმი სრულიად გაუმართლებელია.

კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი — ამერიკის შეერთებული შტატები — ომიდან გამოვიდა ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლავრი თავისი ეკონომიკით, შეერთებულმა შტატებმა ომის დროს სხვა ქვეყნებზე ნაკლები დაკარგეს, სამაგიეროდ ყველა ქვეყანაზე მეტი მოიგეს ომით.

პირველ ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირს ჰყავდა ძლავრი არმია, მაგრამ ჰქონდა დანგრეული სახალხო მეურნეობა. სამ იმპერიალისტურ სახელმწიფოს იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი სახელმწიფო სულ მალე ფეხებს გაჭიმავდა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამით დამთავრდებოდა დედამიწაზე სოციალისტური წყობილების რეალური არსებობა და სოციალიზმი დარჩებოდა მხოლოდ როგორც იდეოლოგიისა და თეორიის პრობლემა. მაგრამ იმპერიალისტების, კოლონიზიტორების, მონოპოლისტური კაპიტალის მთელი ეს იმედები ილუზია აღმოჩნდა და ჩაიფუშა.

საბჭოთა კავშირმა არა თუ სწრაფად აღიდგინა ძალები, არამედ აიღო განვითარების ისეთი ტემპი, რომელმაც განაცვიფრა მთელი კაცობრიობა. ჩვენ ყოველწლიურად ვუშვებთ ასი ათასზე მეტ ინჟინერს, შევქმენით მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური, პირველი ატომური ყინულმჭრელი, რომელიც წარმადიდამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტი ერთგვარად დისკრიმინირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში, როგორც, მაგალითად, უშიშროების საბჭოში, ისე განსაკუთრებით სამდივნოში. ამის შესახებ სავსებით სწორად თქვა აქ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა სუკარნომ.

სოციალისტური ქვეყნების დიდი და ძლავრი რაზმის გარდა საერთაშორისო ასპარეზზე გაჩნდნენ აგრეთვე ახალი ახალგაზრდა სახელმწიფოები, რომლებიც იცავენ ნეიტრალისტურ პოლიტიკას. ეს არის დიდი ინდოეთი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ინგლისის კოლონია იყო, ეს არის ინდონეზია, ჰოლანდიის წინანდელი კოლონია, ეს არის ბირმა, ეს არის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ესენი არიან აფრიკისა და აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოები. ახლა ისინი დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ და ითვლიან მილიარდზე მეტ მოსახლეობას. მაგრამ ამ ქვეყნების ინტერესები აგრეთვე არ არის გათვალისწინებული არც უშიშროების საბჭოში, არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

ჩვენ ყველანი ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ და ამიტომ უნდა ვეძებოთ ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის მოგვარების გზები. სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა იყოს ის ფორუმი, ის ადგილი, სადაც ასეთი თანამშრომლობა მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის უნდა ხორციელდებოდეს უაღრესად ფართოდ და სამართლიანად.

როცა საბჭოთა მთავრობა აყენებს, მაგალითად, გენერალური სამდივნოს რეორგანიზაციის საკითხს, ამით ჩანს მხოლოდ ჩვენი გულწრფელი ზრუნვა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწორი ფუნქციონირება. ამასთან ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და არა ქვეყნების, ან თუნდაც წრეების ერთი რომელიმე ჯგუფის ინტერესებს.

ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილების განმმარტებელი და ამსრულებელი ახლა ერთი კაცია. მაგრამ დიდი ხანია არსებობს თქმა: დედამიწაზე წმიდანები არ არიან და არც ყოფილან. დაე, ის, ვისაც მიაჩნია, რომ წმიდა ადამიანები არიან, თავისი აზრისა დარჩეს, ჩვენ ამ ზღაპრებისა არა გვჯერა.

ჰოდა, ეს ერთი კაცი, ამ შემთხვევაში ბატონი ჰამარშელდი, უნდა განმარტავდეს და ასრულებდეს ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და ითვალისწინებდეს როგორც მონოპოლისტური კაპიტალის ქვეყნების ინტერესებს, როგორც სოციალისტური ქვეყნების ინტერესებს, ისე ნეიტრალისტური ქვეყნების ინტერესებსაც. მაგრამ ეს შეუძლებელია. ყველას გსმენიათ, თუ რა აქტივობით იცავენ იმპერიალისტური ქვეყნები ბატონ ჰამარშელდის პოზიციას. განა ცხადი არ არის, ვისი ინტერესების განმმარტებელი და ამსრულებელია იგი, ვისი „წმიდა ადამიანია“?.

ბატონი ჰამარშელდი მუდამ არაობიექტური იყო სოციალისტური ქვეყნებისადმი; იგი მუდამ იცავდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მონოპოლისტური კაპიტალის სხვა ქვეყნების ინტერესებს. კონგოს ამბები, სადაც მან პირდაპირ ცუდი როლი შეასრულა, მხოლოდ უკანასკნელი წვეთია, რომელმაც ავსო მოთმინების ფიალა.

მართლაც, სამდივნოს და უშიშროების საბჭოს სხვა შემადგენლობა რომ ყოფილიყო, არავითარი განსაკუთრებით დაძაბული ამბები კონგოში არ მოხდებოდა. კოლონიზატორები ვერ გაბედავდნენ კვლავ ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, ხოლო თუ ისინი ამას იზამდნენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები არათუ გააძევებდნენ მათ, არამედ პირობებსაც შექმნიდნენ კონგოელი ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პარლამენტისა და მთავრობის ნორმალური მუშაობისათვის.

როცა კოლონიზატორებმა კონგოს დამოუკიდებლობა მისცეს, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ეს დამოუკიდებლობა ფიქციური იქნება. მაგრამ კონგოს მთავრობამ სერიოზულად გადაწყვიტა დაიცვას თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები. ამან გააცოფა კოლონიზატორები, მათ მიმართეს სამხედრო ავანტიურას, გადაწყვიტეს ფიქციური დამოუკიდებლობის სახით კონგოელი ხალხისათვის თავს მოეხვიათ არსებითად ძველი კოლონიური წესები.

ვიმეორებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახით კონგოელმა ხალხმა, სამწუხაროდ, ვერ ჰპოვა თავისი ინტერესების დამცველი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების რა შესრულებაა ეს!

ბატონმა ჰამარშელდმა გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალები გამოიყენა არა კონგოს კანონიერი პარლამენტისა და მთავრობის მხარდასაჭერად, რომელთა თხოვნითაც გაიგზავნა ჯარები, არამედ კოლონიზატორთა ძალების მხარდასაჭერად, რომლებიც იბრძოდნენ და იბრძვიან კონგოს პარლამენტისა და კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, რათა კონგოს დაადგან ახალი უღელი. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები გამოიყენა ახალგაზრდა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. ვერავინ ვერ მოითმენს შემდეგში ისეთ თვითნებობასა და უკანონობას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოიყენეს არა კონგოელი ხალხის დასახმარებლად, არამედ მის წინააღმდეგ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოვიდა კოლონიური წრიების ინტერესების დასაცავად. ამაზე სამართლიანად ილაპარაკეს აქ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, განის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, კუბის, ინდონეზიისა და სხვა დელეგაციების მეთაურებმა.

რომ არ იყოს გაუგებრობა, მინდა გავიმეორო: ჩვენ ბატონ ჰამარშელდს არ ვენდობით და არც შეგვიძლია ვენდოთ. თუ მას თვითონ არ ეყოფა ვაჟკაცობა და არ გადადგება, რაც, ასე ვთქვათ, რაინდობა იქნებოდა, ჩვენ საჭირო დასკვნებს გავაკეთებთ შექმნილი მდგომარეობიდან. ისეთ ადამიანს, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ელემენტარული სამართლიანობა, ადგილი არ უნდა ექნეს ისეთ დიდმნიშვნელოვან პოსტზე, როგორიც გენერალური მდივნის პოსტია.

ზოგნი იტყვიან, იქნებ ბატონი ჰამარშელდი სხვა, უფრო ღირსეული ადამიანით უნდა შეიცვალოსო. ისინი ასე მსჯელობენ: დავუშვათ ბ-ნმა ჰამარშელდმა უხეში შეცდომა ჩაიდინა, არ შეიძლება ამ შეცდომის გამოსწორება თუ მას სხვა ადამიანით შევცვლით? ეს, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გაგვაკეთებინა, მაგრამ გადავარჩენთ თუ ვერა ამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მომავალში ასეთი შეცდომების გამეორებისაგან? ვფიქრობ, რომ ვერა. ყოველი სხვა გენერალური მდივანი ვერ იქნება სახელმწიფოთა სამი სხვადასხვა ჯგუფის ობიექტური წარმომადგენელი.

ახლა, სამწუხაროდ, არსებობს ცალმხრივი მიმართულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოს და გენერალური მდივნის მუშაობაში. აქ ჯერჯერობით ბატონობს ქვეყნების ერთი ჯგუფი შეერთებული შტატების მეთაურობით, ამასთან ახლა იგი ძლიერის უფლებითაც კი როდი ბატონობს. ამჟამად ამ სახელმწიფოებმა დაკარგეს ეგრეთწოდებული ძლიერის უფლება, იმიტომ რომ წარსული ძალისაგან, რომელსაც კოლონიზატორები ეყრდნობოდნენ, რათა მორჩილებაში ჰყოლოდათ კოლონიური ხალხები, მათ მხოლოდ ფეტიში დარჩათ.

თანამედროვე მსოფლიოში რეალური ვითარება ისეთია, რომ ორი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ძალები, სულ ცოტა, თანაბარია. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა სოციალისტურ ქვეყნებსაც, აგრეთვე ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს, ცხადი იქნება, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მხარეზეა არა მარტო უფლება და სამართლიანობა, არამედ ძალაც. თუ ამას არ გავითვალისწინებთ, რასაკვირველია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ იმოქმედებს.

სწორად რომ ვთქვათ, იგი მაშინ სავსებით დაკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან ვერ შეასრულებს თავის მთავარ ამოცანას — ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებას.

თუმცა, რა საჭიროა მომავალზე ლაპარაკი. უკვე ახლა ვხედავთ, თუ რა მოჰყვა ცალმხრივობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დასაბული საკითხების გადაჭრაში იმის გამო, რომ იქ ბატონობენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ძალები. გენერალური მდივნის პოსტი უკავია დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენელს; გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის პოსტზე მთელი 15 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა დაშვებული სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელი: ეს კი ისეთი სიტუაციაა, რომელიც განსაკუთრებულ განმარტებებს არ მოითხოვს!

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება იმპერიალისტური ქვეყნების ზეგავლენა გენერალურ ასამბლეაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის გადაჭრის დროს. მე უკვე ვილაპარაკე ამის შესახებ, და კვლავ ვიმეორებ იმათთვის, ვინც ფუშაოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხის გადაჭრას. იმათთვის, ვინც ამჟერადაც მორჩილად მიჰყვება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, გამოსწორდეს ეს უსამართლობა. უჩინეთოდ არ შეიძლება იყოს განიარაღება; უჩინეთოდ არ შეიძლება იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმალური მუშაობა.

ხომ საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეეძლოს დროზე ჩააქროს ომის კერა, სადაც უნდა წარმოიშვას იგი. როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს? ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სახელმწიფოთა სამივე ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, კოლონიური ხალხების ინტერესების გათვალისწინებით. ახლა კი კოლონიზატორები ყველაფერს სჩადიან იმისათვის, რომ გაახანგრძლივონ მონური რეჟიმი კოლონიურ ქვეყნებში, ხოლო იქ, სადაც ხალხები აღწევენ დამოუკიდებლობას, კოლონიზატორები ცდილობენ შებოჭონ ისინი, აძლევენ ფიქციურ დამოუკიდებლობას, ფაქტიურად კი ცდილობენ გაახანგრძლივონ კოლონიზატორული რეჟიმი.

ამიტომ, თანამედროვე პირობების მიხედვით, შესაძლოა თუ არა შევარჩიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე ერთი კაცი, რომელიც გაითვალისწინებდა სახელმწიფოთა სამივე ჯგუფის ინტერესებს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს შეუძლებელია. რა თქმა უნდა, თუ ვილაპარაკებთ მშვიდობის იდეებისადმი, კაცთმოყვარეობის იდეებისადმი ერთგულებაზე, შეიძლებოდა გენერალური მდივნის პოსტზე წამოგვეყენებინა სოციალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენელი და ასეთი ადამიანი ნამდვილად იქნებოდა საზოგადოების ყველა პროგრესული იდეების, მშვიდობის უზრუნველყოფის იდეების გამომხატველი, მაგრამ შეიძლება წინასწარ ვთქვათ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უნდობლობით გაიმსჭვალებიან ასეთი ადამიანისადმი, და ეს უნდობლობა გასაგები იქნება.

მაგრამ თუ ჩვენ თვითონ ვაღიარებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე სოციალისტური ქვეყნების ნორმალურ მუშაობისათვის, როგორიცა შეუძლებელია ამ ორგანოს მუშაობისათვის, როგორიცა შეუძლებელია დასავლეთის სახელმწიფოებს მოგვთხოვონ ჩვენ, რომ გვჯეროდეს მათი კანდიდატის, ამ შემთხვევაში ბატონ ჰამარშელდის ობიექტურობა! ნეიტრალურ ქვეყნებსაც სურთ შეასრულონ თავიანთი როლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სურთ, რომ მათი ინტერესები უზრუნველყოფილი იყოს, და ნეიტრალისტური ქვეყნების ეს კანონიერი მოთხოვნები უნდა გავითვალისწინოთ.

ამიტომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტა იქნება ისეთი აღმასრულებელი ორგანოს შექმნა, რომელშიც სახელმწიფოთა სამი ჯგუფი წარმოდგენილი იქნება სამი პირით, რათა სწორედ ეს ადამიანები ახორციელებდნენ უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს.

ზოგნი ამბობენ: თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოში სამი კაცი იქნა, იგი პარალიზებულ იქნება. მაგრამ იმ ადამიანების ამოცანა, რომელსაც ამ ორგანოში წამოაყენებენ, სწორედ ის იქნება, რომ გამონახონ ისეთი ბრძნული გადაწყვეტილებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობას. ეს კი ნიშნავს, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოთა ყვე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გუშინ იყო დარბაზობაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ტოდორ ჟივკოვმა გამართა. დარბაზობამ ძმური გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი იყო დარბაზობაზე, რომელიც ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ მოაწყო, აგრეთვე დარბაზობაზე, რომელიც ეთიოპიის დელეგაციის მეთაურმა, ეთიოპიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აკლილუ აბთეოლდმა გამართა.

საუზმე კ. ტ. მაგუროვთან

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ტ. მაზუროვმა 3 ოქტომბერს საუზმე გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურების პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ დელეგაციების მეთაურები: საბჭოთა კავშირისა — ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ანტონინ ნოვოტნი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — იანოშ კადარი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ტოდორ ჟივკოვი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გ. გეორგიუ-დეჟი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მეჰმედ შეჰუ, უკრაინის სს რესპუბლიკისა — ნ. ვ. პოდგორნი, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრები: სსრ კავშირისა — ა. ა. გრომიკო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ვ. დავიდი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ე. შიკი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ლუკანოვი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. ვოიტეკი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. შტეფული, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინი.

საუზმემ მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა ხალხის სახელით

როგორც ცნობილი გახდა საკადესის კორესპონდენტისათვის, თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერების, მწერლების, კულტურის მოღვაწეების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების დიდმა ჯგუფმა 3 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს მშვიდობის განტკიცებისათვის, ყველა ხალხის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის მოქმედების კონკრეტულ და რეალისტურ პროგრამას, რომელიც გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამ დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია:

„დარწმუნებული ვართ, რომ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის საბჭოთა პროექტი, სსრ კავშირის მთავრობის განცხადება განიარაღების საკითხზე და საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი, აგრეთვე საბჭოთა წინადადებანი იმის შესახებ, რომ განმტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გადაიქცეს იგი ნამდვილად უნივერსალურ საერთაშორისო ფორუმად, აღდგეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — ყველა ამ წინადადებას ფართოდ უჭერენ მხარს მსოფლიო საზოგადოებრიობა და ბევრი დელეგაცია გენერალური ასამბლეის სესიაზე. ისინი წარმოადგენენ XV სესიის საქმიანი და ნაყოფიერი მუშაობის მტკიცე საფუძველს. ამ ისტორიული სესიის მონაწილეთა წინაშე, რომელსაც ეს წერენიან ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები, შექმნილია დიდი შესაძლებლობანი, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საშიში გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციის, სახელმწიფოთა შორის ომის საფრთხის აღკვეთის საქმეში.

საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეების სახელით, ხაზგასმით აღნიშნულია დასასრულ დეპეშაში, ჩვენ მოვუწოდებთ XV სესიის მონაწილე ყველა დელეგაციას გაითვალისწინონ თავიანთ მუშაობაში კაცობრიობის საარსებო ინტერესები, მაქსიმუმი კეთილი ნება გამოიჩინონ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევისათვის, გაამართლონ ხალხთა დიდი იმედები.

დეპეშას ხელს აწერენ: ა. ნესმეიანოვი, მ. შოლოხოვი, დ. შოსტაკოვიჩი, ა. კორნეიჩუკი, გ. ულანოვა, კ. ფედინი, ნ. ტიხონოვი, ნ. პოპოვა, დ. სკობელცინი, ი. ერენბურგი, ვ. ვასილევსკაია, პატრიარქი ალექსი, მ. ნესტეროვი, ე. ფედოროვი, მუფთი ბაბახანოვი, ა. სურკოვი, ვ. ჩიკოვსკი, მ. კოტოვი, ნ. ბლოხინი, ვ. ბლაუენოვი, ბ. პოლევოი, ს. ბერასიმოვი, არქიეპისკოპოსი ტურსი, ა. ხაჩატურიანი, ს. იუტკევიჩი, (საკადესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დახახრული)

ლა ჯგუფის ინტერესები. ხოლო თუ გადაწყვეტილებანი მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი რომელიმე ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, მაგალითად, თუ გადაწყვეტილებებს, როგორც ახლა, მიიღებენ მარტო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების გათვალისწინებით, ეს იქნება არარეალური გადაწყვეტილებები. მოდით საღად შეხედოთ საგნებს: ასეთი ცალმხრივი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არა აქვთ რეალური ნიადაგი, იმიტომ რომ მათ არ ძალუძთ თავს მოახვინონ თავიანთი გადაწყვეტილებანი ძალით.

ვინც ამბობს, თითქოს საბჭოთა კავშირი აყენებს წინადადებებს, რომლებიც ანგრევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის შეფასებას უდგება მხოლოდ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის პოზიციიდან. როცა ჩვენ ვამბობთ, საჭიროა სახელმწიფოთა ერთი, მეორე და მესამე ჯგუფების ინტერესები გავითვალისწინოთ, ისინი ამბობენ, ეს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანგრევაა". არა, ეს სამართლიანი მოთხოვნაა. დღეს თუ არა, ხვალ მსოფლიოს ყველა ხალხი მიხვდება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს ყველა სახელმწიფოს ინტერესებს. მეორე გზაა სახელმწიფოთა რომელიღაც ერთი ჯგუფის ბატონობა. ეს კი ნიშნავს არა საკითხების გადაწყვეტას, არამედ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, რასაც შეიძლება სამხედრო კონფლიქტებიც მოჰყვეს.

ბატონო დელეგატებო! ყველა ადამიანის წმინდა მისწრაფებაა უზრუნველყოფილი იქნას მშვიდობა დედამიწაზე, ხოლო მშვიდობის უზრუნველყოფის საუკეთესო გარანტიაა განიარაღება. სწორედ განიარაღება სწყურია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. იგი არ შეიძლება შეიცავლოს კონტროლით შეიარაღებისადმი, განუიარაღებლად. თუ მიღებულ იქნება ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ, მზად ვართ მივიღოთ დასავლეთის ყოველგვარი წინადადება საერთაშორისო კონტროლის შესახებ.

ხოლო რას ნიშნავს კონტროლი შეიარაღებისადმი, რომელსაც გვთავაზობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბატონი ეიზენჰაუერი და რომლის შესახებაც ილაპარაკა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა მაკმილანმა? შეიარაღებისადმი კონტროლი ნიშნავს იმის აღიარებას, რომ საჭიროა მომავალშიც ვიქონიოთ შეიარაღება. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ თუ არსებობს შეიარაღება, ნებისთ, თუ უნებლიეთ, ყველა ისინი, ვისაც იარაღი ეკუთვნის, კრიზისულ მომენტში ხელს იტაცებს იარაღის ბუდეზე, ხელს იტაცებს ამ იარაღზე.

კრიზისულ მომენტში ისინი, ვისაც აქვს იარაღი და იცავს „ძალის პოზიციის" პოლიტიკას, არ შეეკითხებიან უშიშროების საბჭოს, არ მოიწვევენ გენერალურ ასამბლეას იმ საკითხის განსახილველად — ღირს თუ არა ღირს აამოქმედონ თავიანთი იარაღი — ისინი მას აამოქმედებენ. ხოლო თუ ეს მოხდა, ალბათ, არავითარი ასამბლეა აღარ შეიკრიბება, იმიტომ რომ ამის შემდეგ იქნება ომი მთელი მისი გამანადგურებელი შედეგებით.

ამიტომ მშვიდობის საუკეთესო გარანტიაა მოისპოს ადამიანთა მოსპობის საშუალებანი, ესე იგი შეიარაღება. საბჭოთა ხალხს გულწრფელად სურს ეს. ჩვენ დიდი ხანია, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ლენინის პირით, ვთქვით, რომ მხარს ვუჭერთ განიარაღებას. ამ ასამბლეაზე საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი და შემოიტანა თქვენს განსახილველად თავისი კონკრეტული წინადადებანი.

ამიტომ მოგმართავთ მტკიცე მოწოდებით შეიგნოთ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განიარაღების პრობლემას მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, თანამედროვეობისა და მომავალი თაობებისათვის. საჭიროა ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის ღონისძიებები, რათა ვაიძულოთ იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებზეც დამოკიდებულია შეთანხმება, საქმით განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღება.

ზოგნი ამბობენ, რომ საჭიროა რაღაც განსაკუთრებულ ოთახში ჩაკეტონ ხრუშჩოვი და ეიზენჰაუერი, დაე იქ ისხდნენ მანამდე, სანამ განიარაღების შესახებ არ შეთანხმდებიანო. მაგრამ ეს რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა. ჩვენ შეგვიძლია ვისხდეთ რამდენიც გნებავთ, მაგრამ თუ პრეზიდენტს და, განსაკუთრებით, მის ზურგს უკან მდგომ წრეებს არ ექნებათ სურვილი შეთანხმდნენ, არავითარი კვამლი მილიდან არ ამოვა, როგორც ეს ხდება ტრადიციით, როცა ირჩევენ რომის პაპს. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა არა რომის პაპის არჩევის საკითხი, არამედ გაცილებით უფრო რთული საკითხი განიარაღებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, მილიონობით და მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება განიარაღების შესახებ, უნდა შეიქმნას საერთაშორისო შეიარაღებული ძალები. პრინციპულად ჩვენ ვეთანხმებით ამას. მაგრამ დგება საკითხი, ვინ იქნება მათი მეთაური? გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი? მაგრამ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებათა მიღება ამა თუ იმ მოქმედების შესახებ ამ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მორალურ რწმენაზე, მის სინდისზე. განა დასაშვებია, რომ მილიონთა ბედი დამოკიდებული გავხადოთ ერთი ადამიანის მოქმედებაზე. რომელსაც ეს პოსტი უჭირავს? ჩვენ ვერ დავენდობით გენერალური მდივნის სინდისს. იმიტომ რომ ყველას თავისი შეხედულება აქვს სინდისზე, მორალის თავისი გაგება აქვს. კაპიტალისტურ სამყაროს თავისი მორალი აქვს, კომუნისტურ სამყაროს — თავისი მორალი, ნეიტრალისტურ ქვეყნებს — თავისი მორალი.

ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული პირობები და ისე ავაგოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატი, რომ იგი ასახავდეს ნამდვილ მდგომარეობას მსოფლიოში, რომ იგი გამოხატავდეს სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფის ხალხთა ინტერესებს. არ შეიძლება იყოს განიარაღება, არ შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო შეიარაღებული ძალები, თუ არ იქნება გარანტია სამივე ჯგუფისათვის, რომ ბოროტად არ გამოიყენებენ ამ შეიარაღებულ ძალებს.

როგორ უნდა უზრუნველვყოთ ეს? ჩვენ არ გვინდა პრივილეგიები ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ პრივილეგიები ჰქონდეთ სხვებს ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა თანასწორი მდგომარეობა ყველასათვის. ამიტომ, თუ თქვენ, ბატონებო, ნამდვილად გსურთ განიარაღება, თუ თქვენ გსურთ, რომ საერთაშორისო ორგანოები ნამდვილად მუშაობდნენ ამ მიმართულებით მშვიდობიანი მიზნებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატი ისე უნდა გარდაიქმნას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო და უშიშროების საბჭო მთელ თავიანთ მუშაობაში ასახავდნენ სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფის ინტერესებს, რომ დაცული იყოს გაერთიანებულ ერებში შემავალი ყველა სახელმწიფოს ინტერესები.

ზოგიერთი მოღვაწე მწვავე სიტყვებს და მკაცრ ბრალდებას ისვრის, ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ანგრევსო. ჩვენ უარვყოფთ ამ ბრალდებებს და მთელი გარკვეულობით ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი მიზნად ისახავენ გაერთიანებული ერების განმტკიცებას. ჩვენ გვინდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სქემით იყოს ისეთი ორგანო, რომელშიც გაერთიანებულ ერებში შემავალ სახელმწიფოთა ყველა ჯგუფის ინტერესები თანასწორი პირობებით იქნება გათვალისწინებული და. დაცული. და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში.

ის სახელმწიფოები კი, რომლებიც ისახავენ თავიანთ ვიწრო, ჯგუფობრივ ინტერესებს, რომლებიც დაყენებულია სახელმწიფოთა სხვა ჯგუფების ინტერესებზე მაღლა, ლახვარს სცემენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და, განსაკუთრებით, მის ზურგს უკან მდგომ წრეებს არ ექნებათ სურვილი შეთანხმდნენ, არავითარი კვამლი მილიდან არ ამოვა, როგორც ეს ხდება ტრადიციით, როცა ირჩევენ რომის პაპს. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა არა რომის პაპის არჩევის საკითხი, არამედ გაცილებით უფრო რთული საკითხი განიარაღებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, მილიონობით და მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება განიარაღების შესახებ, უნდა შეიქმნას საერთაშორისო შეიარაღებული ძალები. პრინციპულად ჩვენ ვეთანხმებით ამას. მაგრამ დგება საკითხი, ვინ იქნება მათი მეთაური? გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი? მაგრამ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებათა მიღება ამა თუ იმ მოქმედების შესახებ ამ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მორალურ რწმენაზე, მის სინდისზე. განა დასაშვებია, რომ მილიონთა ბედი დამოკიდებული გავხადოთ ერთი ადამიანის მოქმედებაზე. რომელსაც ეს პოსტი უჭირავს? ჩვენ ვერ დავენდობით გენერალური მდივნის სინდისს. იმიტომ რომ ყველას თავისი შეხედულება აქვს სინდისზე, მორალის თავისი გაგება აქვს. კაპიტალისტურ სამყაროს თავისი მორალი აქვს, კომუნისტურ სამყაროს — თავისი მორალი, ნეიტრალისტურ ქვეყნებს — თავისი მორალი.

ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული პირობები და ისე ავაგოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატი, რომ იგი ასახავდეს ნამდვილ მდგომარეობას მსოფლიოში, რომ იგი გამოხატავდეს სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფის ხალხთა ინტერესებს. არ შეიძლება იყოს განიარაღება, არ შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო შეიარაღებული ძალები, თუ არ იქნება გარანტია სამივე ჯგუფისათვის, რომ ბოროტად არ გამოიყენებენ ამ შეიარაღებულ ძალებს.

როგორ უნდა უზრუნველვყოთ ეს? ჩვენ არ გვინდა პრივილეგიები ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ პრივილეგიები ჰქონდეთ სხვებს ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა თანასწორი მდგომარეობა ყველასათვის. ამიტომ, თუ თქვენ, ბატონებო, ნამდვილად გსურთ განიარაღება, თუ თქვენ გსურთ, რომ საერთაშორისო ორგანოები ნამდვილად მუშაობდნენ ამ მიმართულებით მშვიდობიანი მიზნებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატი ისე უნდა გარდაიქმნას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო და უშიშროების საბჭო მთელ თავიანთ მუშაობაში ასახავდნენ სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფის ინტერესებს, რომ დაცული იყოს გაერთიანებულ ერებში შემავალი ყველა სახელმწიფოს ინტერესები.

ზოგიერთი მოღვაწე მწვავე სიტყვებს და მკაცრ ბრალდებას ისვრის, ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ანგრევსო. ჩვენ უარვყოფთ ამ ბრალდებებს და მთელი გარკვეულობით ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი მიზნად ისახავენ გაერთიანებული ერების განმტკიცებას. ჩვენ გვინდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სქემით იყოს ისეთი ორგანო, რომელშიც გაერთიანებულ ერებში შემავალ სახელმწიფოთა ყველა ჯგუფის ინტერესები თანასწორი პირობებით იქნება გათვალისწინებული და. დაცული. და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში.

ეს დემონსტრაცია ყოველ წუთს იზრდებოდა. დემონსტრაციის მონაწილენი პირდაპირ სამუშაოდან მოდიოდნენ. ისინი მოდიოდნენ აქ ისე, რომ გვერდს უვლიდნენ პოლიციელთა გაძლიერებულ კორდონებს. ამ კორდონებმა ვერ შეაშინეს ხალხთა შორის მშვიდობის და მეგობრობის ამერიკელი მომხრენი. ისინი მოდიოდნენ აქ, რათა განეცხადებინათ, რომ ეთანხმებიან იმ პოზიციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე დაიკავა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ მხარი დაეჭირათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, — და იმ ქუჩის ნაწილი, სადაც დემონსტრაცია მიდიოდა, უკვე პატარა გახდა. იგი უკვე ვერ იტევდა ასობით და ათასობით ნიუიორკელ მშრომელს.

რა ძალა, რა სიმტკიცე იხატებოდა დემონსტრანტთა სახეზე, როცა ისინი ამბობდნენ: „ჩვენ აღარ გვინდა ომები!", „ჩვენ გვინდა მშვიდობა!", „ჩვენ გვინდა განიარაღება!".

დემონსტრაციის დასასრულს მთელი რიგი მონაწილენი მივიდნენ საბჭოთა წარმომადგენლობაში და ნ. ს. ხრუშჩოვისათვის გადასცეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები,

მათ აგრეთვე გადასცეს ნიუ-იორკის მშვიდობისათვის ბრძოლის პროფკავშირული საბჭოს წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ, ადამიანები, რომლებიც ვესწრაფვით მშვიდობას მთელ მსოფლიოში... მივესალმებით პრემიერ — ნიკიტა ხრუშჩოვის წინადადებას და მის თვალსაზრისს საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას მშვიდობისათვის. მუშები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი იმით, რომ აღიკვეთოს ცივი ომი, განვითარდეს ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, და განხორციელდეს განიარაღება. მშვიდობის მისაღწევად საჭიროა განთავისუფლდნენ კოლონიური ხალხები და მიღებულ იქნას ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში".

ჩვენ, აღნიშნულია დასასრულ წერილში, ვართ ნიუ-იორკის პროფკავშირთა რიგითი წევრების ჯგუფი, წევრებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ამ მშვიდობისათვის ბრძოლის საბჭოში. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ამერიკელი მუშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს საკითხები გენერალურ ასამბლეაში განიხილონ მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურებმა.

(ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დამსწრეებმა მოისმინეს დიდი ყურადღებით და არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშით). (საკდესი).

მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი **ვ. კონდრაშოვი** იტყობინება:

ნიუ-იორკში საბჭოთა წარმომადგენლობის შენობის მახლობლად, რომელიც ამჟამად საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციაა, გუშინ გაიმართა ნიუ-იორკის მშრომელთა დემონსტრაცია.

აქ მოვიდნენ მკერავები, ფეხსაცმლის, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგების მუშები — ბევრ მათგანს ხელში უჭირავს ლოზუნგები: „ნიუ-იორკის პროფკავშირები მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს", „ნიუ-იორკის პროფკავშირები მხარს უჭერენ მშვიდობასა და განიარაღებას", „ნიუ-იორკის პროფკავშირები მხარს უჭერენ წინადადებას, რომ ბოლო მოეღოს კოლონიალიზმს".

ეს დემონსტრაცია ყოველ წუთს იზრდებოდა. დემონსტრაციის მონაწილენი პირდაპირ სამუშაოდან მოდიოდნენ. ისინი მოდიოდნენ აქ ისე, რომ გვერდს უვლიდნენ პოლიციელთა გაძლიერებულ კორდონებს. ამ კორდონებმა

კომუნისტი

№0-2 **გვერდი, ოთხშაბათი,**
5 ოქტომბერი, 1960 წ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

გაეის პრეზიდენტ კ. ნკრუმას, ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს, ინდონეზიის პრეზიდენტ სუკარნოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გ. ა. ნასერის, იუგოსლავიის პრეზიდენტ ი. ბ. ტიტოს მიმართვაზე

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

29 სექტემბერს განის პრეზიდენტმა კ. ნკრუმამ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ, ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ა. ნასერმა და იუგოსლავიის პრეზიდენტმა ი. ბ. ტიტომ წერილი გაუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

წერილში ნათქვამი იყო:

„ბატონო თავმჯდომარევ.

პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ, ვიღებთ რა მხედველობაში საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას და დარწმუნებული ვართ რა, რომ თქვენი აღმატებულება, თქვენი მთავრობა და თქვენი დიდი სახელმწიფოს ხალხი მხურვალედ ესწრაფვიან ამ დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებისათვის პირობების შექმნას, განზრახული გვაქვს გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე დაუყოვნებლივ განსახილველად წარმოვადგინოთ რეზოლუციის პროექტი, რომლის ტექსტი თან ერთვის.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ეს ღონისძიება შეხვდება თქვენს თანაგრძნობისა და კეთილმოსურნე დამოკიდებულებას.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რათა კვლავ დავარწმუნოთ თქვენი აღმატებულება ჩვენს დიდ პატივისცემაში თქვენდამი".

განის, ინდოეთის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტში, რომელიც დართული აქვს წერილს და წარდგენილია გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად, გამოთქმულია სურვილი, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა განაახლონ „თავიანთი კონტაქტები, რომლებიც შეწყდა უკანასკნელ დროს, რათა შეიძლებოდეს, რომ მათი ნათლად გამოხატული სურვილი — გამოანახონ სადავო პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკების გზით — პროგრესულად განხორციელდეს".

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი აღნიშნულ მიმართვაზე განის პრეზიდენტისადმი.

მის აღმატებულებას

გ-ნ კვამე ნკრუმას

განის პრეზიდენტს

„ბატონო თავმჯდომარევ.

პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ, ვიღებთ რა მხედველობაში საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას და დარწმუნებული ვართ რა, რომ თქვენი აღმატებულება, თქვენი მთავრობა და თქვენი დიდი სახელმწიფოს ხალხი მხურვალედ ესწრაფვიან ამ დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებისათვის პირობების შექმნას, განზრახული გვაქვს გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე დაუყოვნებლივ განსახილველად წარმოვადგინოთ რეზოლუციის პროექტი, რომლის ტექსტი თან ერთვის.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ეს ღონისძიება შეხვდება თქვენს თანაგრძნობისა და კეთილმოსურნე დამოკიდებულებას.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რათა კვლავ დავარწმუნოთ თქვენი აღმატებულება ჩვენს დიდ პატივისცემაში თქვენდამი".

განის, ინდოეთის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტში, რომელიც დართული აქვს წერილს და წარდგენილია გენერალური ასამბლეის XV სესიის პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ვ. გომულკამ გააკეთა განცხადება, რომელშიც კერძოდ, თქვა:

„ახლანდელ სესიას უდიდესი, მე ვიტყოდი ერთგვარი აზრით გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს. დისკუსიის მსვლელობაში უკვე შეეხნენ ბევრ არსებით საკითხს. მათ რიცხვს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხი, შემდეგ კონგოსა და იმ როლის საკითხი, რომელიც ამ საკითხში შესასრულეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა გენერალურმა მდივანმა. მესამე არაჩვეულებრივად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხაზგასმით აღინიშნებოდა ამ სესიაზე, არის დასავლეთ გერმანიის რევილიტარიზაციის საკითხი. მეოთხე საკითხია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინელი ხალხის, სახელდობრ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლის დაშვების შესახებ. ბოლოს, მეხუთე მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც სესიაზე შეეხნენ, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლის საკითხი, რათა მან შეეძლოს წარმოადგინოს მასში შემავალი ყველა სახელმწიფოსა და ჯგუფის ინტერესები.

მთელი ეს საკითხები, თუმცა ზოგი მათგანი ასე თუ ისე ერთ მოლიანს წარმოადგენს, მხოლოდ იმ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის ქვეპუნქტები არიან, რომელიც დგას სესიის წინაშე — ეს არის სრული და საყოველთაო განიარაღების პრობლემა, კაცობრიობის დაცვა თერმოატომგულის ომის კატასტროფისაგან".

ჩვენ ვსვამთ განიარაღების საკითხს და ამავე დროს კონტროლის საკითხს, თქვა ვ. გომულკამ. განიარაღების ყოველი ეტაპი უნდა შეეხამოს ეფექტიან კონტროლს. ეს არის ერთადერთი პლატფორმა, რომელზეც შეიძლება ვაწარმოოთ კონსტრუქციული მოლაპარაკება,

მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, განაგრძო ვ. გომულკამ, დასავლეთ გერმანიის რეგილიტარიზაციის საკითხი. ჩვენი შეფასება და ჩვენი გამოსვლები, რომელიც დასავლეთ გერმანიის რეგილიტარიზაციას ეხებიან, ნაკარნახევია არა ანტიგერმანული გრძნობებით, არა სიფიცხით, არამედ პოლიტიკური რეალიზმით და ისტორიული გამოცდილებით, რაც პოლონელმა ხალხმა დააგროვა. ევროპაში არის მხოლოდ ერთი სახელმწიფო, რომელიც აყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს სხვა ქვეყნების მიმართ. ეს სახელმწიფოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მე ვიტყოდი, რომ ყველა ნევრალგიურ პუნქტთა შორის მსოფლიოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენს ყველაზე მეტ საფრთხეს ევროპისათვის, ის იყო და არის მსოფლიოს ცენტრალური ნევრალგიური ნაწილი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხაზგასმით აღნიშნა ვ. გომულკამ, განიარაღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ყოველმა რეალურად მოაზროვნე ადამიანმა მშვენივრად იცის, რომ თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მონაწილეობა არ მიიღო, ან შეიძლება არც ერთი საკითხის, უწინარეს ყოვლისა არ შეიძლება ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა, როგორიც განიარაღების საკითხია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო ჩინეთის წარმომადგენელთა დაშვება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ჩანკაიშის ისტური მარიონეტის გარეცხვა გადაუდებელი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

პროვოკაციები არ წყდება

რიგა, 3 ოქტომბერი. (საკდესი). რიგის საზღვაო სათევზაო ნავსადგურის მისადგომებთან მოვიდა ლატვიის საკმედიციო თევზჭერის სამმართველოს მცურავი ბაზა — გემი „დაუგავა". ხომალდი დაბრუნდა ჩრდილოეთ ატლანტიკიდან, სადაც მიიღო ლატვიელი მრეწველების დაჭერილი თევზი.

სარეწის რაიონისაკენ ნაოსნობის დროს მცურავმა ბაზამ განიცადა ნატოს სამხედრო ხომალდების ჯგუფის პროვოკაციული თავდასხმა. მცურავი ბაზის „დაუგავას" კაპიტანმა ა. დ. გოლოსეევმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ჩვენი მცურავი ბაზა მიდიოდა მოცემული კურსით ჩრდილოეთ ატლანტიკაში. 4 სექტემბერს ღამით ჩვენ შევეფეთ სკაგერაკის სრუტეში. დილის ოთხ საათზე ჩვენგან მარჯვნივ ჩრდილოეთ გადედ 57 გრადუსისა და 48 მინუტის და აღმოსავლეთ გრძედის 9 გრადუსისა და 25 მინუტის რაიონში პარალელური კურსით გამოჩნდნენ წყალქვეშა ნაკები, საესკადრო ნაღმოსნები, სატორპედო კატერები. ისინი ოცდაათზე მეტი იყვნენ. სამხედრო ხომალდებმა დაიწყეს ჩვენს გემზე იერიშის დემონსტრაცია. შეტაკების თავიდან ასაცილებლად ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა მანქანების გაჩერება. სამხედრო ხომალდები ჩაჭრობილი შუქით მოდიოდნენ.

ნატოს სამხედრო ხომალდების ასეთი მოქმედება, ხაზგასმით აღნიშნა კაპიტანმა, არის საერთოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების და ზღვაში გემების დაჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესების უხეში დარღვევა.

ვ. გომულკას განცხადება

ნიუ-იორკში გამართულ საღილზე

ვარშავა, 4 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იუწყება, 3 ოქტომბერს სადილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებული ასზე მეტი ელჩრალისტის თანდასწრებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ვ. გომულკამ გააკეთა განცხადება, რომელშიც კერძოდ, თქვა:

„ახლანდელ სესიას უდიდესი, მე ვიტყოდი ერთგვარი აზრით გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს. დისკუსიის მსვლელობაში უკვე შეეხნენ ბევრ არსებით საკითხს. მათ რიცხვს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხი, შემდეგ კონგოსა და იმ როლის საკითხი, რომელიც ამ საკითხში შესასრულეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა გენერალურმა მდივანმა. მესამე არაჩვეულებრივად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხაზგასმით აღინიშნებოდა ამ სესიაზე, არის დასავლეთ გერმანიის რეგილიტარიზაციის საკითხი. მეოთხე საკითხია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინელი ხალხის, სახელდობრ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლის დაშვების შესახებ. ბოლოს, მეხუთე მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც სესიაზე შეეხნენ, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლის საკითხი, რათა მან შეეძლოს წარმოადგინოს მასში შემავალი ყველა სახელმწიფოსა და ჯგუფის ინტერესები.

მთელი ეს საკითხები, თუმცა ზოგი მათგანი ასე თუ ისე ერთ მოლიანს წარმოადგენს, მხოლოდ იმ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის ქვეპუნქტები არიან, რომელიც დგას სესიის წინაშე — ეს არის სრული და საყოველთაო განიარაღების პრობლემა, კაცობრიობის დაცვა თერმოატომგულის ომის კატასტროფისაგან".

მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი **ვ. კონდრაშოვი** იტყობინება:

ნიუ-იორკში საბჭოთა წარმომადგენლობის შენობის მახლობლად, რომელიც ამჟამად საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციაა, გუშინ გაიმართა ნიუ-იორკის მშრომელთა დემონსტრაცია.

აქ მოვიდნენ მკერავები, ფეხსაცმლის, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგების მუშები — ბევრ მათგანს ხელში უჭირავს ლოზუნგები: „ნიუ-იორკის პროფკავშირები მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს", „ნიუ-იორკის პროფკავშირები მხარს უჭერენ მშვიდობასა და განიარაღებას", „ნიუ-იორკის პროფკავშირები მხარს უჭერენ წინადადებას, რომ ბოლო მოეღოს კოლონიალიზმს".

ეს დემონსტრაცია ყოველ წუთს იზრდებოდა. დემონსტრაციის მონაწილენი პირდაპირ სამუშაოდან მოდიოდნენ. ისინი მოდიოდნენ აქ ისე, რომ გვერდს უვლიდნენ პოლიციელთა გაძლიერებულ კორდონებს. ამ კორდონებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალური ასამბლეის XV სესიაზე



ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 3 ოქტომბრის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. პასუხისათვის პირველი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი. დელეგიტი და თვალთმაქცური იყო მისი ცდები გაებათილებინა ღრმად დასაბუთებული დებულებანი საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლისა, რომელმაც დაგმო გენერალური მდივნის საქმიანობა, როგორც ლაქიობა იმპერიალისტებისა და კოლონიზატორების წინაშე.

ამოფარა რა ცარიელ სიტყვებს „ისტორიის განსჯისა“ და „ისტორიული სიმართლის შესახებ“, ჰამარშელდმა არსებითად განაცხადა, რომ განზრახული აქვს განაგრძოს წინანდელი კურსი, რომელიც შეესაბამება ქვეყნების ერთი ჯგუფის ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა მონაწილეთა ინტერესებს. ჰამარშელდმა აღრეთვე განაცხადა, რომ, მიუხედავად თავისი წინანდელი განცხადებებისა, შესაძლო გადადგომის შესახებ, იგი არ იზამს ამას, რადგან „ვერ მიატოვებს ორგანიზაციას თვითდინების ანაბარა ახლანდელ ძნელ და საშიშ ვითარებაში“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა იანოშ კადარმა, რომელსაც ბევრი დელეგატი ტაშით შეხვდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეს სესია, განაცხადა იანოშ კადარმა, ყველაზე მნიშვნელოვანი სესიაა, რომელიც კი გამართულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის მომენტიდან. ეს იხსნება მთელი საერთაშორისო მდგომარეობით, აგრეთვე იმით, რომ ძის განსახილველად შემოტანილია ორი საკითხი, - რომელიც საარსებო მნიშვნელობის საკითხებია კაცობრიობის ბედისათვის, — სრული და საყოველთაო განიარაღებისა და კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის საკითხები.

მშვიდობის დაუცხრომელი დამცველის, სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის ინიციატივით, განაგრძო იანოშ კადარმა, გენერალური ასამბლეის ამ სესიის შუამაობაში მონაწილეობს სახელმწიფოთა და მთავრობათა მრავალი მეთაური და სხვა თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე. მთელი მსოფლიოს ადამიანები მათგან ელოდნენ ნათელ პასუხს კითხვაზე: განიარაღების მომზრე არიან თუ არა ისინი? ვიმეორებ: საჭიროა ნათელი პასუხის გაცემა სწორედ ამ კითხვაზე. თუ ამ კითხვაზე ხელმძღვანელი მოღვაწეები დადებითად უპასუხებენ, ამის დასადასტურებლად ხალხები მათგან ქმედითს ღონისძიებებს მოელიან. ზოგჯერ, სამწუხაროდ, ვერ ვიღებენ არაორაზროვან პასუხს ამ კითხვაზე, უფრო ხშირად ისეც ხდება, რომ მაღალთავრდოვანი სიტყვები არ შეესაბამება საქმეს.

სიტყვით, განაგრძო იანოშ კადარმა, თითქმის ყველანი მშვიდობის მომხრენი არიან, მაგრამ საქმე გაცილებით უფრო ნათლად მეტყველებს. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, რომ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი შეიარაღებული ძალები, ნატოს მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები „მშვიდობისმოყვარეობაზე“ მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ შენიღბონ გამალებული შეიარაღება.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა მოგვონა სხდომას, რომ, მაშინ როცა სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა გენერალურ ასამბლეაზე მოიტანეს ახალი წინადადებანი განიარაღების შესახებ, ნატოს ხელმძღვანელებმა დიდი სამხედრო მანევრებს მოწყობით აღნიშნეს მისი გახსნა. ეს იყო ძალის აშკარა დემონსტრაცია, თქვა მან, მაგრამ მათმა ცდებმა ამაოდ ჩაიარა. ის, ვისაც, გარდა სამხედრო წვრთნისა, არაფრის მიცემა არ შეუძლია ხალხებისათვის, გვიჩვენებს არა თავის ძალას, არამედ იმას, რომ მას სრულიად არ გააჩნია კეთილი ნება და პოლიტიკურად სუსტ პოზიციებზე დგას.

მეორე მსოფლიო ომის დროს, თქვა უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, ჩვენს ქვეყანას მიაყენეს ზარალი, რომელიც უდრის მის ხუთი წლის ეროვნულ შემოსავალს. 500 ათასი კაცი — უნგრეთის მოზრდილი მოსახლეობის თითქმის 8 პროცენტი დაიღუპა ამ ომის დროს, ე. ი. იმდენივე, რამდენიც დაკარგეს შეერთებულმა შტატებმა, რომელთა მოსახლეობა 17-ჯერ აღემატება უნგრეთის მოსახლეობას.

ჩვენმა ხალხმა, განაგრძო იანოშ კადარმა, სამუდამოდ მოსცა ბატონობა მონოპოლისტური კაპიტალისა, რომელიც ომების წყაროა. ჩვენმა არ არიან ადამიანები, რომელნიც გამალებული შეიარაღებიან და ომის იმედით ცოცხლობენ. ჩვენში კანონით აკრძალულია ხალხთა შორის სიძულვილის გაღვივება და ომის პროპაგანდა. ჩვენს ხალხს სძულს ომი და იმპერიალიზმი; მას სურს მშვიდობით იცხოვროს ყველა ხალხთან, იშრომოს მშვიდობის პირობებში, მოიმოქმოს თავისი შრომის სულ უფრო მზარდი ნაყოფი.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ხელი აიღონ ძალის პოზიციის პოლიტიკაზე, რომელიც გაკოტრდა, და განაცხადონ, გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე, რომ მზად არიან მოლაპარაკებისათვის საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. იანოშ კადარმა სავსებით დაუჭირა მხარი საბჭოთა წინადადებებს ამ საკითხზე, რომლებიც შეტანილია გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად.

შემდეგ იანოშ კადარმა ხაზი გაუსვა, რომ დადგა დრო კოლონიური სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისა. კოლონიზატორები, განაცხადა მან, ბარბაროსულად ელეტდნენ კოლონიური ქვეყნების მილიონობით მცხოვრებს. უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა სასაცილოდ აიღო ბელგიელ კოლონიზატორთა ზღაპარი იმის შესახებ, რომ მათ თითქოს დამოუკიდებლობა „უბოძეს“ კონგოელ ხალხს, და თქვა: ბელგიის წარმომადგენელს, ცხადია, „დავიწყდა“ ეთქვა, რომ ბელგიელი კოლონიზატორები ხელებს კვეთდნენ ათასობით კონგოელს, რომლებიც უარს ამბობდნენ სპილოს ძვალი მიეწოდებინათ მათთვის.

კოლონიზატორებმა, თქვა მან, თავისუფლება მოპარეს ხალხებს, და ახლა ისინი კი არ უბოძებენ მათ ამ თავისუფლებას, არამედ თვითონ ჩაგრული ხალხები თავიანთ დამმონებელთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლით იბრუნებენ თავისუფლებას. კოლონიზატორებმა, რომელნიც ბარბაროსულად იტაცებდნენ კოლონიათა სიმდიდრეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ ახლა არავითარი ეფექტი არა აქვს არც მათს ოინებს, არც მათ მიერ სიმართლის დამახინჯებას.

საერთო დისკუსიის მსვლელობაში ზოგიერთმა დელეგაციამ სცადა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე უხეში ცილისწამებით სეზიის აყენებდა ჩამოეშორებინა კოლონიებისა და ნამდვილ კოლონიზატორებისათვის. ეს ცდები ამაოა. ბავშვებმაც კი მოიღეს მსოფლიოში კარგად იცინონ, რომ კოლონიები და ნახევრადკოლონიები აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში და რომ კოლონიზატორები და მათი თავგადამდებული დამცველები უნდა ვეძებოთ არა აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მოიყვანა მკაფიო ფაქტები, რომელნიც ცხადყოფენ უნგრეთის წარმატებებს სახალხო ხელისუფლების წლებში. უნგრეთის მრეწველობის განვითარების ტემპი, თქვა მან, 1920 წლიდან 1945 წლამდე საშუალოდ ყოველწლიურად ერთ პროცენტს შეადგენდა, ხოლო უნგრეთის განთავისუფლების მომენტიდან სამრეწველო პროდუქციის ზრდა 11 პროცენტს შეადგენდა საშუალოდ წელიწადში. მოსწავლეთა რიცხვი სამ-ოთხჯერ გადიდდა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1930 წელთან შედარებით გადიდდა 48-დან 65 წლამდე.

მთელი ეს წარმატებანი, ხაზი გაუსვა იანოშ კადარმა, მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი და უანგარო დახმარების მეოხებით.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ანალიზი გაუკეთა უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობას და აღნიშნა, რომ უნგრეთში საბჭოთა კავშირის მიწოდების 80 პროცენტზე მეტს შეადგენს ნედლეული, ენერგია და ნახევარფაბრიკატები, ამავე დროს საბჭოთა კავშირში უნგრეთის ექსპორტის 80 პროცენტზე მეტს შეადგენს სამრეწველო ნაწარმი. კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელები, განაგრძო იანოშ კადარმა, ვერ დაასახელებენ ვერცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, რომელსაც უფრო სუსტ და ეკონომიურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყანასთან ასეთი სავაჭრო ურთიერთობა, პატარა ქვეყნისათვის ესოდენ ხელსაყრელი ურთიერთობა ჰქონდეს დამყარებული.

უნგრეთის დელეგაცია, განაცხადა შემდეგ იანოშ კადარმა, ბარს უჭერს საბჭოთა წინადადებებს კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის შესახებ. იგი იმის მოთხრეა, რომ გენერალური ასამბლეის სესიიან განხილოს ეს საკითხი და მიიღოს დეკლარაცია.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ილაპარაკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხზე და განაცხადა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თვითონ უნდა მოიღოს ბოლო ამერიკის შეერთებული შტატების უგუნურ, ეგოისტურ და მთელი ორგანიზაციის საზიანო დიდმპყრობლურ პოლიტიკას, რომელიც ხელს უშლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ საკითხის გადაჭრა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყოველ დელეგაციას.

შემდეგ იანოშ კადარი შეეხო დიდი ბრიტანეთის პოზიციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ინგლისის დელეგაციამ გენერალურ კომიტეტში, თქვა მან, მოითხოვა, რომ გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის წესრიგში შეიტანონ ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხი“. მეორე მხრივ, ინგლისის დელეგაციის როდი შერცხვა ხმა მიეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ წინადადების წინააღმდეგ, ამასთან ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ეს საკითხი დავას გამოიწვევს, არა ღიმს მისი განხილვა, რათა არ გამწვავდეს ატმოსფერო გენერალური ასამბლეის სესიაზე. უცსაური ოინგიკაა! — ხაზი გაუსვა იანოშ კადარმა. ახალი უთანხმოება, რომელიც წამოიჭრება ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხის“ განხილვისას, საშინი არ არის ინგლისის დელეგაციისათვის. მას, თურმე, აწუხებს „ატმოსფეროს გამწვავება“, რასაც გამოიწვევს იმ საკითხის განხილვა, რომ ჩინეთს კანონიერი ადგილი დაუბრუნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი გადაწყვეტილ ვერ ეყოფა ჰგავს, ამიტომ იგი სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას.

ჩვენი დელეგაცია, განაგრძო უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას და მხარს უჭერს იმას, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მიეიღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

იანოშ კადარმა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ როგორც კი საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, რომ დღის წესრიგში შეეტანათ სსრ კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხი, შეერთებული შტატების მთავრობამ მაშინვე დაჟენებით მოითხოვა, რომ დღის წესრიგში შეეტანათ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“. ყველამ მშვენივრად იცის, თქვა მან, რომ უნგრეთის 1956 წლის ამბების განხილვა დიდი ხანია ამოწურული და განხილული საკითხია. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ განხილვა გენერალური ასამბლეის სესიაზე ამ საკითხზეა ამოთხოვილი, ამ ფაქტს, რომლის შეცვლა, აქვე უნდა ვთქვათ, მას სულ ერთია არ შეუძლია, ამერიკა-უნგრეთის ურთიერთობა დაუყოვნებლივ მოწესრიგდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ერთიანად მოიშორებს მისივის თავს მოხეული საკითხს, რომელიც წარმოშვა „ცივმა ომმა“.

გულახდილად უნდა განვაცხადო, განაგრძო უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღემდე მიღებული რეზოლუციები ეგრეთწოდებულ „უნგრეთის საკითხზე“ არის მხოლოდ „ცივი ომის“ პროდუქტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევის შეუწყნარებელი ცდები.

ვისაც ინტერესებს უნგრეთის მდგომარეობა, თქვა მან, დაე ჩამოვიდეს ჩვენთან და თვალნათლივ დარწმუნდეს. უნგრელი ხალხი სტუმართმოყვარულად ვგებება სტუმრებს, მაგრამ არ აპირებს შეუშვას თავის ქვეყანაში ისინი, ვინც მოდის გაერთიანების ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული „დავალებებით“. ჩვენ ცალკეული პირების წინააღმდეგი როდი ვართ, ჩვენ მხოლოდ ვადგიგართ პრინციპულ პოზიციებს და არავის არ მივცემთ ნებას ჩაერიოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

შემდეგ უნგრეთის დელეგაციის მეთაური შეეხო უნგრეთში საბჭოთა ჯარების ყოფნის საკითხს. საბჭოთა ჯარები, თქვა მან, უნგრეთში იმყოფებიან იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც დადებულია ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა შორის. მათი გაყვანა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულების დამდები მხარეების გადაწყვეტილებაზე, კერძოდ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობაზე და არა დასავლეთელი სტრატეგების სურვილზე. უნგრელ ხალხს საწინააღმდეგო არა აქვს რა საბჭოთა ჯარის ნაწილების მიმართ, რომელებმაც იგი გადაარჩინეს ფაშისტურ ფაშიზმის ბატონობისაგან, ჰორტის კონტრრევოლუციური ფაშისტური რეჟიმისაგან, რომელმაც უნგრეთი ჰიტლერელებს ჩაუგდო ხელში. ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს საბჭოთა არმიას „ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავის მშვიდობიან წყნარ ცხოვრებას.

საყოველთაოდ ცნობილია, თქვა ორატორმა, რომ ვარშავის ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა შეიტანეს წინადადება დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, ამავე დროს დაიშალოს ვარშავის ხელშეკრულების და ნატოს ორგანიზაციები. თავის წინადადებებში საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა მთავრობა, ყველა სოციალისტური ქვეყნის, მათ შორის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თანხმობით, მოითხოვს უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანას სხვათა ტერიტორიებიდან. საჭიროა მხოლოდ მიეღოთ და შეეასრულოთ ეს წინადადებანი, და მაშინ არც ერთ სახელმწიფოში არ იქნებიან უცხოელთა ჯარები.

იანოშ კადარმა ამხილა ბურჟუაზიული პროპაგანდის მოსაზრენი, რომ კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში თითქოს იყო „ეროვნული აჯანყება“. საფრანგეთის დელეგაციის, თქვა მან, შეეძლო ეამბნა გენერალური ასამბლეისათვის, რას წარმოადგენს ეროვნული აჯანყება. შეხედეთ ალჟირს. რა ხდება იქ? ფრანგი კოლონიზატორების ნახევარმილიონიანმა არმიამ, ალჟურელმა თანამედროვე იარაღით, რომელმაც მოსპო ასეულ ათასობით ალჟირელი პატრიოტი, ვერ დაამარცხა ალჟირელი ხალხი არა მარტო ორ დღეში, არამედ ექვს წელიწადშიც. მას არ შეუძლია დაამარცხოს და ვერასოდეს ვერ დაამარცხებს იმიტომ რომ ალჟირში ნამდვილად წარმოეს ეროვნული აჯანყება, რომელსაც მხარს უჭერენ ხალხის ძირითადი მასები, და არა კონტრრევოლუციური აჯანყება, მსგავსი იმისა, რომელიც ბუდაპეშტში 1956 წელს მოხდა.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა გადაჭრით დაგმო ის, რომ შეერთებულმა შტატებმა 100 მილიონ დოლარი გამოაყვეს ძირგამომთხრელი მუშაობისათვის სოციალისტურ ქვეყნებში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და საერთაშორისო სამართალს.

დასასრულ იანოშ კადარმა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას განიარაღებისა და კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის საკითხებზე.

მხარი დაუჭირა რა საბჭოთა წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტი შეიცვალოს კოლექტიური ორგანოთი, მან განაცხადა: ეს აღმასრულებელი ორგანო ძალიან ძარღან იმოქმედებს, თუ, ეთქვათ, მდივნები რიგრიგობით ყოველთვიურად იქნებიან პასუხისმგებელნი აღმასრულებელი ორგანოს მუშაობისათვის. რატომ უნდა დარჩეს მარტო ერთი გენერალური მდივანი, რომელიც განმარტავს და ასრულებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფოთა ფაქტიურად არსებული ჯგუფებიდან ერთი ჯგუფის საამებლად და ორი სხვა ჯგუფის ინტერესების საზიანოდ!

უნგრეთის დელეგაციის მეთაურის საბოლოო სიტყვებს, რომ მშვიდობისა და პროგრესის ძალებს შეუძლიათ ალაგმონ შავბნელი ძალები და რომ ამიტომ კაცობრობას შეუძლია რწმენით შეჰყურებდეს თავის მშვიდობიან და ბედნიერ მომავალს, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ პასუხის უფლებით ისაუბრა ბელგიის წარმომადგენელმა მორო დე მელენმა. მან სცადა საეჭვოდ გაეხადა კონგოს მიმართ ბელგიის კოლონიური პოლიტიკის სამართლიანი კრიტიკა, რომელსაც შეიცავდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს სიტყვა. დაიმოწმა რა საეჭვო წყაროები, ბელგიის დელეგატმა სცადა ეჩვენებინა კოლონიზატორთა „დიდსულოვნება“ კონგოელი ხალხის მიმართ. ამასთან მან არ დაიშურა ლამაზი სიტყვები „თანასწორობის“, „სამართლიანობის“, „საერთაშორისო იდეალებისა“ და სხვათა შესახებ.

შემდეგი ორატორი იყო ჰონდურასის წარმომადგენელი ბერმუდესი. მისი მოკლე უშინაარსო სიტყვა ამოიწურა მოწოდებით, რომ დაშვებულ არ იქნას „კომუნიზმის გავრცელება“. ჰონდურასის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების სიღატაკე ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის კომუნიზმისათვის. შეადარა რა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრების დონე ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის მდგომარეობას, მან ამას უწოდა დამამცირებელი შეუსაბამობა. „ჩვენ, — განაცხადა ბერმუდესმა, — შეგვიძლია გავიგოთ, ესოდენ ჰოპულარული რატომ გახდა კუბის რევოლუცია ლათინური ამერიკის ქვეყნებში“.

ვენესუელის წარმომადგენელმა როდრიგესმა, რომელიც დღის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა, მთავარი ყურადღება მიაქცია თავის ქვეყანაში მიღის რეფორმის პრობლემას. იგი ზოგადი ფორმით შეეხო სხვადასხვა საერთაშორისო საკითხს და სურვილი გამოთქვა, რომ მთელ მსოფლიოში დამყარდეს ნამდვილი თანამშრომლობა და თანაარსებობა.

სხდომის ბოლოს არგენტინის დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ 5 ოქტომბრამდე გადადოს ნ. ს. ხრუშჩოვისა და ეიზენჰაუერის შეხვედრის შესახებ ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის განხილვა. ეს წინადადება მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით.

გენერალური ასამბლეის საღამოს სხდომაზე გაგრძელდება დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხის შესახებ.

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 3 ოქტომბრის საღამოს პლენარულ სხდომაზე განახლდებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე უხეში ცილისწამებით სეზიის აყენებდა ჩამოეშორებინა კოლონიებისა და ნამდვილ კოლონიზატორებისათვის. ეს ცდები ამაოა. ბავშვებმაც კი მოიღეს მსოფლიოში კარგად იცინონ, რომ კოლონიები და ნახევრადკოლონიები აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაშია და რომ კოლონიზატორები და მათი თავგადამდებული დამცველები უნდა ვეძებოთ არა აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მოიყვანა მკაფიო ფაქტები, რომელნიც ცხადყოფენ უნგრეთის წარმატებებს სახალხო ხელისუფლების წლებში. უნგრეთის მრეწველობის განვითარების ტემპი, თქვა მან, 1920 წლიდან 1945 წლამდე საშუალოდ ყოველწლიურად ერთ პროცენტს შეადგენდა, ხოლო უნგრეთის განთავისუფლების მომენტიდან სამრეწველო პროდუქციის ზრდა 11 პროცენტს შეადგენდა საშუალოდ წელიწადში. მოსწავლეთა რიცხვი სამ-ოთხჯერ გადიდდა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1930 წელთან შედარებით გადიდდა 48-დან 65 წლამდე.

მთელი ეს წარმატებანი, ხაზი გაუსვა იანოშ კადარმა, მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი და უანგარო დახმარების მეოხებით.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ანალიზი გაუკეთა უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობას და აღნიშნა, რომ უნგრეთში საბჭოთა კავშირის მიწოდების 80 პროცენტზე მეტს შეადგენს ნედლეული, ენერგია და ნახევარფაბრიკატები, ამავე დროს საბჭოთა კავშირში უნგრეთის ექსპორტის 80 პროცენტზე მეტს შეადგენს სამრეწველო ნაწარმი. კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელები, განაგრძო იანოშ კადარმა, ვერ დაასახელებენ ვერცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, რომელსაც უფრო სუსტ და ეკონომიურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყანასთან ასეთი სავაჭრო ურთიერთობა, პატარა ქვეყნისათვის ესოდენ ხელსაყრელი ურთიერთობა ჰქონდეს დამყარებული.

უნგრეთის დელეგაცია, განაცხადა შემდეგ იანოშ კადარმა, ბარს უჭერს საბჭოთა წინადადებებს კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის შესახებ. იგი იმის მოთხრეა, რომ გენერალური ასამბლეის სესიაზე განხილოს ეს საკითხი და მიიღოს დეკლარაცია.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ილაპარაკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხზე და განაცხადა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თვითონ უნდა მოიღოს ბოლო ამერიკის შეერთებული შტატების უგუნურ, ეგოისტურ და მთელი ორგანიზაციის საზიანო დიდმპყრობლურ პოლიტიკას, რომელიც ხელს უშლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ საკითხის გადაჭრა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყოველ დელეგაციას.

შემდეგ იანოშ კადარი შეეხო დიდი ბრიტანეთის პოზიციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ინგლისის დელეგაციამ გენერალურ კომიტეტში, თქვა მან, მოითხოვა, რომ გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის წესრიგში შეიტანონ ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხი“. მეორე მხრივ, ინგლისის დელეგაციის როდი შერცხვა ხმა მიეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ წინადადების წინააღმდეგ, ამასთან ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ეს საკითხი დავას გამოიწვევს, არა ღიმს მისი განხილვა, რათა არ გამწვავდეს ატმოსფერო გენერალური ასამბლეის სესიაზე. უცსაური ოინგიკაა! — ხაზი გაუსვა იანოშ კადარმა. ახალი უთანხმოება, რომელიც წამოიჭრება ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხის“ განხილვისას, საშინი არ არის ინგლისის დელეგაციისათვის. მას, თურმე, აწუხებს „ატმოსფეროს გამწვავება“, რასაც გამოიწვევს იმ საკითხის განხილვა, რომ ჩინეთს კანონიერი ადგილი დაუბრუნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი გადაწყვეტილ ვერ ეყოფა ჰგავს, ამიტომ იგი სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას.

ჩვენი დელეგაცია, განაგრძო უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას და მხარს უჭერს იმას, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მიეიღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა ბ. ქიკოგამ ამ საკითხზე ასეთი ინდოეთის ოფიციალური მოსაზრენი: ინდოეთი ამ საკითხზე ერთ-ერთ ადგილზეა. ინდოეთი ეწინააღმდეგება ორ ჯგუფად ერების დაყოფას. ინდოეთი ეწინააღმდეგება ამ ჯგუფებს შორის ბრძოლის ველად ქცევას. ინდოეთი ეწინააღმდეგება ამ ჯგუფებს ერთმანეთისადმი ეჭვიანობის ობიექტ

წერილის კვირეული

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად იქცა ყოველი წლის ოქტომბერში „წერილის კვირეული“ ჩატარება.

წელს „წერილის კვირეული“ დაიწყო 3 ოქტომბერს და გაგრძელდება 9 ოქტომბრამდე.

„წერილის კვირეულის“ მთავარ ამოცანას წარმოადგენს გაფართოოს და გააცხოველოს მოქალაქეთა შორის მიმოწერა ფოსტით. ის აგრეთვე ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული და ეკონომიური კავშირის გაფართოებას, მშვიდობის იდეების გავრცელებას, ხალხთა ურთიერთ მეგობრობასა და პატივისცემას.

„წერილის კვირეული“ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა კავშირგაბმულობის საწარმოებისათვის და მოწოდებულია უფრო ახლოს გააცნოს მოსახლეობას ფოსტის მუშაობა, იგი წარმოადგენს საფოსტო საწარმოების დათვალიერებას, რომელიც მიმართულია მომსახურების კულტურისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

კვირეულის დღეებში კავშირგაბმულობის საწარმოთა მოწინავე ადამიანები და ხელმძღვანელი მუშაკები შეხვდებიან მოსახლეობას და საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომლებსაც მოუთხრობენ თავიანთი მუშაობის ხასიათსა და პირობებზე, კავშირგაბმულობის სახელოვან ისტორიაზე და მისი განვითარების მომავალ პერსპექტივებზე, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია კავშირგაბმულობის ორგანოებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში.

კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარება საბჭოთა კავშირში ემორჩილება სოციალიზმის ეკონომიურ კანონებს, ამის შესაბამისად სახალხო მეურნეობის ყველა დარგების გეგმიანი განვითარება უზრუნველყოფს აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებათა სათანადო ზრდას.

ყოველწლიურად იზრდება აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის საფოსტო საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობა.

ამჟამად მექანიზებულია საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო და შიდასარაიონო საფოსტო ტრაქტები. ფოსტების გადაზიდვაში ფართოდ არის გამოყენებული საავიაციო ტრანსპორტი, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ჟურნალ-გაზეთების 90 პროცენტი იგზავნება, თვითმფრინავებით. მარტო მიმდინარე წლის სექტემბერში გაიხსნა სამი საფოსტო საავიაციო ხაზი, ავიაციის ფართოდ გამოყენების შედეგად ჩვენ საშუალება გვეძლევა რესპუბლიკური გაზეთები გავგზავნოთ და დავურიგოთ ხელმომწერლებს გაზეთის გამოსვლის დღესვე რესპუბლიკის ყველა ქალაქში, რაიონის ცენტრებში და მთელ რიგ სოფლებში.

ბევრ მსხვილ საფოსტო საწარმოებში მექანიზებულია საწარმოო პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიც არის წერილების დაშტემპელება, ამანათების ტრანსპორტირება და დამუშავება, წერილების კონვიდ შეკვრა და სხვ. ფართოდ არის გამოყენებული რკინიგზის სადგურებზე ფოსტის გადაზიდვისათვის ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები — მცირე გაბარიტის ტრაქტორები, ავტომტვირთავები, ავტოკარები და სხვ.

ფოსტის საწარმოო პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას სერიოზული ყურადღება ეთმობა მიმდინარე შვიდწლედში, თბილისში რკინიგზის პირას აშენდება ფოსტამტი, სადაც განხორციელდება ყველა საწარმოო პროცესის კომპლექსური ავტომატიზაცია. ამ ობიექტის მშენებლობასა და მოწყობაზე დახარჯული იქნება 30 მილიონ მანეთამდე.

საფოსტო საწარმოთა მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, არ არის აღმოფხვრილი წერილებისა და გაზეთების დაგვიანებიდ მიტანის, კლიენტების მოთხოვნათა უგულებელყოფისა და უპასუხისმგებლობის ფაქტები.

კვირეულის დღეებში, როდესაც ფოსტის მუშაკები შეხვდებიან ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებს ქალაქად და სოფლად, საჭიროა მთელი ყურადღებით და თანაგრძნობით მოვუსმინოთ მათ და მივიღოთ ყველა მათი საქმიანი შენიშვნა.

საფოსტო კავშირის წინაშე, ისევე როგორც კავშირგაბმულობის ყველა დარგების წინაშე, დგას დიდი მნიშვნელობის ამოცანა — უახლოეს ხანში მკვეთრად გაუმჯობესდეს მშრომელთა მომსახურების ხარისხი, მივაღწიოთ მუშაობის კულტურის მაღალ დონეს.

ჩვენი რესპუბლიკის ფოსტის მუშაკები ყოველთვიურად ამუშავებენ 20 მილიონზე მეტ წერილს, ნახევარ მილიონ ამანათს, 40 მილიონ ჟურნალ-გაზეთებს და სხვ.

ასეთი დიდი რაოდენობის კორესპონდენციის დამუშავება, გადატანა და ჩაბარება მოითხოვს ფოსტის ყველა უშნის, ყველა მუშაკის ზუსტ და შეუფერხებელ მუშაობას.

საჭიროა „წერილის კვირეულის“ ჩატარებასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის ყველა საწარმოში ფართოდ გაიშალოს მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა, მოსახლეობას ვუჩვენოთ მუშაობის მაღალი კულტურა და მინდობილი საქმისადმი სიყვარული.

მ. ინაური,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე.

დაბრუნდნენ, ყაზახეთიდან დაბრუნდნენ ქართველი ახალგაზრდები. ისინი ყამირი მიწების უხვი მოსავლის ასაღებად ეწვნენ წასული. კეთილშობილურად შეასრულეს თავიანთი ამოცანა, ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ყაზახეთის მშრომელებს და გამარჯვებით დაბრუნდნენ შინ.

გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ყაზარეულ ჩარჯოელებს თბილისის ვოგზალზე.

სურათზე: ყაზახეთიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა.

ფოტო ს. ონანოვისა და გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართველი წყალბურთელები უნგრეთში

უნგრეთში საერთაშორისო ამბანაგური მატჩების ჩასატარებლად ამყოფებოდა თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა კოლექტივი. ამ ქვეყანაში წყალბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს. უკანასკნელ ოლიმპიურ ასპარეზობაში უნგრეთის წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა პირველი შეხვედრა ქალაქ სოლნოკში უნგრეთის მრავალზის ჩემპიონთან „დოჟას“ გუნდთან გამართეს. გიგი ჩიქვანაიმ, ირაკლი ჩხიკვაძემ და ნოდარ გვახარიამ მასპინძლები აიძულეს ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მატჩი დამთავრდა დიხა-მოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 2.

მეორე შეხვედრაში თბილისელთა წინააღმდეგ იგივე გუნდი თამაშობდა. მატჩი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 5 : 4.

ქალაქ სენტეში ქართველი წყალბურთელების წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი „კინეი“. სენტეშელთა გუნდი გაძლიერებული იყო უნგრეთის ეროვნული ნაკრების სამი მოთამაშით. თბილისელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და გამარჯვეს ანგარიშით 4 : 2. ამ მატჩში გამოირჩეოდა ირაკლი ჩხიკვაძე, რომელმაც ოთხი ბურთი მოთავსა მოწინააღმდეგის კარში.

უნგრეთის ეროვნულ ჩემპიონატში ქალაქ ეგერის „ვაშაში“ ყოველთვის ლიდერთა ჯგუფში იმყოფება. ამ გუნდთან გამართეს თბილისის დინამოელებმა სადასტროლო ტურნეს უკანასკნელი მატჩი. შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 6 : 5.

ქართველმა წყალბურთელებმა უნგრეთში სულ 4 შეხვედრა გამართეს. აქედან მათ სამჯერ სძლიეს მოწინააღმდეგე.

ჟუთაისელ ფეხბურთელთა გამარჯვება

მოსკოვი. რესპუბლიკების მეორე ზონის ლიდერმა ჟუთაისის „ტორპედომ“ მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის გამართა სტალინაბადში ადგილობრივი „ენერგეტიკის“ წინააღმდეგ. შეხვედრა დამთავრდა ჟუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ტანვარჯიშულ იარაღებზე

ბაკოში ი. ბ. სტალინის სახელობის სტადიონის სასპორტო დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა გუნდების სამატჩო შეხვედრები.

საბოლოო ჯამში საქართველოს ქალთა გუნდმა 433,45 ბალი დაგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზე 428,85 ბალით აზერბაიჯანელები გამოვიდნენ. ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ბაქოელი ა. ენიკეეკა. მეორე ადგილი ხვდა მზია ნინოშვილს, ხოლო მესამე — ანა ქაჯაიას.

ვაჟთა გუნდებს შორის უძლიერესნი კვლავ ქართველი ტანმოვარჯიშენი. იყვნენ, რომლებმაც 657,45 ბალი დაგროვეს. მეორე ადგილი აზერბაიჯანელებმა დაიკავეს. ვაჟებში აბსოლუტური ჩემპიონობა ალეკსანდრე მოიპოვა, მეორე ადგილი დაიკავა ბაქოელმა დ. ფილონოვმა, თბილისელი ირაკლი ბალიაური მესამე ადგილზე გამოვიდა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ახალი ამბები, ფაქტები, ფიქრები

აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი

გიგლიოთეკის კარგი თაოსნობა

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). გულმოდგინედ, საქმის საყვარულით მუშაობენ საიონის მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაკები. მათ არაერთხელ გამოიჩინეს კარგი თაოსნობა. ამას წინათ ისინი ესტუმრნენ მწყემსებს, რომლებიც ვახანის მთებში პირუტყვს აძოვებდნენ. მწყემსებთან გაიმართა მკითხველთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მგოსნის ა. წერეთლის დაბადების 120 წლისთავს. აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მწყემსებს საინტერესოდ მოუთხრო ბიბლიოთეკის გამგემ თინა ვარდოსანიძემ.

აკაკის შემოქმედებისა და ცხოვრების ცალკეულ საკითხებზე ილაპარაკეს ვახანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ღონღაძემ, ფერმის გამგემ ლ. არეკაძემ, მეცხოველეებმა ნ. ლომსაძემ, ლ. ცუცბასთან დაკავშირებით მწყემსებთან გაიმართა აგრეთვე მხატვრული საღამო თემაზე — „საქართველო ისტორიული წარსულიდან დღემდე“, რამაც დამსწრეთა კმაყოფილება გამოიწვია.

აკაკის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ბიბლიოთეკამ მოაწყო „ბაშიაშუკის“ განხილვა. ამავე დროს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკასთან არსებული მოძრავი ბიბლიოთეკის მკითხველთა დიდი ჯგუფი წაიყვანა სხვიტორში ა. წერეთლის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად, სადაც გაიმართა ლიტერატურული საღამო. დაათვალიერეს ციხე „მოდი ნახე“ და სოფელი სავანე, სადაც იზრდებოდა აკაკი.

ROM თბილისი უფრო დამშვენდეს

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი. ამ დღისათვის განსაკუთრებით ემზადება ჩვენი დედაქალაქი.

დღესასწაულისათვის კიდევ ერთი პროსპექტი შეემატება ჩვენს დედაქალაქს. ავჭალის გზატკეცილი, მაგნიტოგორსკის ქუჩიდან შამპანურ კომბინატამდე, ერთ დროს უკაცრიელი ადგილი, მალე გადაიქცევა ლამაზ, განიერ ქუჩად, გზის შუა ადგილს ორივე მხარეს გაკეთდება გაზონები, მათ შორის კი იელის ტრამვაი. ამჟამად აქ მშენებლებმა უკვე მოაასფალტეს 14.000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მეტეხის ხიდიდან ორთაჭალამდე. მშენებლები აწარმოებენ გზის სავალი ნაწილის მოასფალტებას. მათ უკვე 4.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დააგეს ასფალტი. უახლოეს დღეებში დაიწყებენ საყრდენი კედლის მშენებლობას, რომელიც გამოჰყოფს სანაპიროსა და გორგასლის ქუჩას.

მალე დაიწყება ორჯონიკიძის მოიდნის კეთილმოწყობის სამუშაოები. ამჟამად აქ აწარმოებენ წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოებს, იღებენ ძველ პატარა სახლებს. მალე გზების მშენებლები გაათანასწორებენ მოედნის უსწორ-მასწორო ადგილებს, ასფალტს დაგებენ 12.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე.

ხელოვნების ამგები

„ბახტრიონის გმირები“

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებლს უჩვენა ადგილობრივი დრამატურგის შ. გოცირიძის პიესა „ბახტრიონის გმირები“, რომელიც დაწერილია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ მოტივებზე.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. ჩელთისპირელი, პ. ახვლედიანი და თ. ბურბუთაშვილი, მსახიობები ა. კუპატაძე, გ. კეკლიშვილი, ლ. მარკოზაშვილი, ე. კუჭავა, დ. სხირტლაძე.

სახალხო თეატრში

ლაგოდეხის სახალხო თეატრში დაიდგა ახალი სპექტაკლი — ვ. კანდელაკის „ერთხელ დაბოცილები“. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ნ. დეისაძეს, მხატვრულად გაფორმა ა. დუნდუკოვმა, ქორეოგრაფია გ. ფაჩუაშვილი, მუსიკა დაწერა გ. მირიანაშვილმა. როლები შეასრულეს მ. ბანდაშვილმა, ო. ზედელაშვილმა, ვ. ქუმელაშვილმა, ფ. მირიანაშვილმა, გ. მირიანაშვილმა და სხვ. პრემიერა მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

მ. გოგოსაშვილი.

„კინტო“

დიდი ქართველი პოეტის ა. წერეთლის დაბადების 120 წლისთავს მიუძღვნა ხაშურის რაიონის კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა ა. წერეთლის კომედია „კინტოს“ დადგმა. პიესა დადგა ი. თურმანიძემ, მხატვრულად გაფორმა გ. შუბითიძემ, მუსიკა ეკუთვნის ნ. ბარაბიძეს, ქორეოგრაფია ნ. ლურსმანაშვილი, სპექტაკლში მონაწილეობენ გ. თევზაძე, ი. თურმანიძე, ა. გველესიანი, ვ. კიკნაძე, უ. კაპანაძე, ი. ნადირაშვილი, ა. ქურდაძე, ნ. შუბითიძე. თეატრალურმა კოლექტივმა ეს სპექტაკლი უჩვენა ხაშურის, ხურამის, ქვიშხეთის, გომის, ტეზრის, ხციხის, ოსიაურის და ვაეის კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს.

უ. კაპანაძე.

ივსება ბეღლები, მარნები...

საჩხერე. (საკ. კორ.). აქაურმა კოლმეურნეებმა წელს სახელმწიფოს 3.500 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ. რაიონის კოლმეურნეობებში რთველი გაჩაღდა. სოფელ სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ია. აბრამიშვილმა განაცხადა: „შარშანდელთან შედარებით წელს სახელმწიფოს მივყიდით სულ მცირე 100 ტონით მეტ მაღალხარისხოვან ყურძენს.

თვით ი. აბრამიშვილმა საკუთარი ვენახიდან მოკრეფილი 613 კილოგრამი შარდონეს ჯიშის ყურძენი უკვე ჩაბარა სახელმწიფოს და 3.678 მანეთი მიიღო. ამავე კოლმეურნეობის ვეტერანმა ბ. ასანიძემ ერთ-ერთმა პირველმა მიჰყიდა სახელმწიფოს საკუთარი ვენახის შარდონეს ჯიშის 400 კილოგრამი ყურძენი და მიიღო 2.500 მანეთამდე. ალიგოტეს ჯიშის 539 კილოგრამ ყურძენში 2.425 მანეთი მიიღო სარეკელმა კოლმეურნემ ი. ლაბაძემ. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

ხირხირა. (სიღნაღის რაიონი) საბჭოთა მეურნეობამ 1 ოქტომბერს შეასრულა ყურძნის მოსავლის აღების გეგმა. ს